ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-49.49222211**
თარიღი:**09/08/2022**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №98

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გელა ბურჯალიანის

უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ.“ ქვეპუნქტის, მე–40 მუხლის მე–6 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 203–ე მუხლის მე-10 პუნქტის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე–13 მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების, N58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 2 აგვისტოს N01/2022 განკარგულებისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის შესაბამისად:

1. ცნობილ იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის მამუკა საღარეიშვილის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის გელა ბურჯალიანის უფლებამოსილება 2022 წლის 9 აგვისტოდან.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.ქუთაისი,კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი